

# ს ი ა ნ ბ ი

№ 2

გამომცემლობა „კომუნისტი“

1940 წ.

ფასი 1ა.

ქრონოლოგიური

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР



გ ა ჟ ი ნ ო ს ხ ა ზ ზ ე

ნახ. მიხ. ლებუშვილი

დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა (გაზეთებიდან)

ფრანგი ოფიცერი: (ჯარისკაცს) ეს რა გამოგიწვია, — ამას ჰქვია სამსახურებრივი მოვალეობის ასრულება?

ჯარისკაცი: ნუ ცხარობ პატივცემულო ოფიცერო, სანამ თქვენ შედევას დაიწებდეთ, ათას წინდას მოვქნოვ და ბებიაჩემს სახსოვრად გაუგზავნი.

16/11

40

138





მოლა და მისი ცოლი აივანზე ისხდნენ. ორივეს მადიანად შიოდნენ.

— რა კარგია ახლა ყველის ნაჭერი. დიდ არს ალახი, რომელმაც ამისთანა ნოყიერი და გემრიელი საქმელი გავგიჩინა! ყველი ახალისებს გულსა კაცისასა. ამხნეებს და აჯანსაღებს მას.—თქვა მოლამ.

— მხოლოდ ის არის ცუდი, რომ ხუთი წელია ყველის ნაჭერი ჩვენს სუფრას არ გაკარებია!—გესლიანად შენიშნა ცოლმა.

მოლამ ამოიოხრა და კეხი შეაბრუნა.

— ჰმ! ძალიან კარგია, რომ ყველი არა გვაქვს. ის კუჭში კიბოს აჩენს და სისხლს უწამლავს ადამიანს. ვინც მას ჰამს კბილები უცვინდება, ამასთან ერთად ის უგემურია და მყარალი სუნი უდის.

მშვიერი ცოლი მოლას ასეთმა პასუხმა მეტად გააბრაზა და ქმარს შეუყვირა:

— რა დაგიჯერო, შე ენატარტალა, ყველის ქება თუ გინება?

— თუ ყველი გვაქვს, ქება დაიჯერე და სუფრაზე მოიტანე; თუ არ გვაქვს, ჩაყლაპე ნერწყვი და გინება დაიჯერეო.

ჩვენი უძლევი წითელი არმიის გმირულმა შეტევამ მანერჰაიმის ხაზზე ფინეთის რეაქციის კოტებს გზაკვალი აუჩიოა.

— რა კარგია ახლა ლენინგრადი! დიდარს ღმერთი, რომელმაც ფინეთს საზღვართან ასეთი გემრიელი საკბილო გავგიჩინა, მასზე გალაშქრება ახალისებს გულსა ინტერვენტისასა, ამხნეებს და აჯანსაღებს მას.—ფიქრობდნენ გულში ყველა ჯურის რეაქციონერები.

ტანნერთან სამშვიდობო მოლაპარაკების დროს, ფინელმა თეთრგვარდიელებმა ფართიფურთი დაიწყეს:

— რას მიქვია მაგათთან ლაპარაკი? ადგილი გავცვალოთ? მეტი მიირთვიო? რა გვაქვს გასაცვლელი, როცა შეგვიძლია მუქთად წავილოთ! რაო? წითელი არმია არას გაგვატანს? რა არის მაგათი წითელი არმია? ისე უძლურია, რომ ვალერიანის წვეთებით აბრუნებენ. მაგათ ფანერის ტანკები აქვთ. მათ თვითფრინავს კამეჩებს უბამენ, რომ ადგილიდან დაიძრას—ასე მსჯელობდნენ ისინი! მაგრამ როდესაც წითელი არმიის ძალა აწვნიეს, როდესაც საბჭოთა „ფანერის ტანკები“ და თვითფრინავები გაიცივნენ, კეხი შეიბრუნეს და საქვეყნოდ აკაჟანდნენ.

— გვაშველეთ, დაგვეხმარეთ, ვიღუპებით. წითელმა არმიამ ფრონტი გაგვირღვია, ველარ ვაკაებთ! სად ხართ! ჰაუ, შვედებო, ნორვეგიელებო, ბრიტანეთის ჯენტლემენებო!

წითელარმიისთან პირისპირ შეხვედრა თეთრფინელთა ჭირისუფლებმა არასასიამოვნო საქმედ მიიჩნიეს და როდესაც თეთრფინებს ჯარით დახმარებაზე უარი უთხრეს, უკანასკნელებმა მოლა მასრადინასავით ისევ კეხი შეაბრუნეს და თავს ინუგეშებენ: „წითელი არმია?! ჰმ!.. რა ვუყოთ, რომ მანერჰაიმის ხაზი გაამსხვრია? მაინც რა დაგვაქლო მისი შემოტევით? საბჭოთა ჯარებმა შესძლეს მხოლოდ ისეთი ტერიტორიების დაკავება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა არა აქვთ“ ასე ბაძავენ მოლა მასრადინას წითელი არმიის გმირული წინსვლით დავთარარეულ თეთრფინელები.

მ.ზა

## ლაუკითხავად ნუ შემოხვალთ!

ორ პიროვნებას ვიცნობდით.

ორივე ერთ დაწესებულებაში მსახურობდნენ. ორთავეს საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავათ.

გლახუნ ბაყაყმდევიშვილი ამ დაწესებულების დირექტორის მესამე მოადგილე და ერთერთ სამმართველოს უფროსი იყო.

გელა ყიამეთაშვილი არც დირექტორის მოადგილე და არც სამმართველოს უფროსი არ ყოფილა, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი თანამდებობა ეჭირა ხსენებულ დაწესებულებაში.

გლახუნ ბაყაყმდევიშვილის იშვიათად ნახავდით თავის კაბინეტში, მისი პირადი მდივანი—დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტრუქტის მუდმივი სტუდენტი ოლია წიბწიპაძე ზრდალობიანად ხვდებოდა გლახუნთან მისულ მოქალაქეებს და ზრდილობიანად ისტუმრებდა მათ,—ეტყოდა,—გლახუნ ქაიხოსროსძე კომისარიატში გაიწვიეს სასწრაფო სხდომაზეო—ამის შემდეგ მიუჯდებოდა თავის საწერ მაგიდას და განაგრძობდა რომანის კითხვას.

როგორც ზევითაც იყო თქმული, გლახუნს იშვიათად ნახავდით თავის კაბინეტში და მაშინაც კი, როცა ნახავდით, მას გარს ეხვეოდა ამ დაწესებულების მოსამსახურეთა გარკვეული ფენა, ე.ი. ის თანამშრომლები, რომლებსაც სიამოვნებათ გლახუნის ენამოსწრებულ სიტყვები და ახალ-ახალი ანეგდოტები.

რაც შეეხება გელა ყიამეთაშვილს,—ეს პიროვნება თითქმის მუდამ თავის კაბინეტში იჯდა სამსახურის საათებში. მისი კაბინე-

ტის კარებთან მუდამ დაინახავდით მასთან შესვლის მოლოდინე მოქალაქეებს.

თუ გლახუნ ბაყაყმდევიშვილის კაბინეტის კარზე მხოლოდ ერთ ასეთი წარწერა ვკიდა — დირექტორის მოადგილე გლახუნ ბაყაყმდევიშვილი, გელას კაბინეტის კარზე წაყითხავდით ორ წარწერას,—პირველს,—სათბობ მასალების განმანაწილებელი სექტორის გამგე გელა ყიამეთაშვილი, — მეორეს,—გთხოვთ დაუკითხავად ნუ შემოხვალთ...

გლახუნსა და გელას შორის დიდი ხანია უკმაყოფილება არსებობდა. გლახუნ არ იმჩნევდა მას,—გელას პირში ყოველთვის ტკბილად ელაპარაკებოდა, სამაგიეროდ, პირს უკან მას—საფლავს უთხრიდა.

— აი, ხომ ხედავთ,—რამდენ კაცს აცდენინებს თავის კაბინეტის წინ? მე რომ ასე მოვიქცე,—ბიუროკრატობას დამწამებდით.—ეუბნებოდა გლახუნ. ხან ერთსა და ხან მეორე თანამშრომელს. თანამშრომელთა შეგნებული ნაწილი გლახუნის პროვოკაციას გაურბოდა, სამაგიეროდ ზოგიერთები მის ანკესს ეგებოდნენ და გელა ყიამეთაშვილს ბიუროკრატობას სწამებდნენ. გთხოვთ დაუკითხავად ნუ შემოხვალთ,—დაცინვით იტყოდნენ ისინი გელას მისამართით.

გელა გრძნობდა გლახუნის ჯგუფის ასეთ მტრულ განწყობი-





— რამ შეგაშოთა? მანერმაიმის ხაზი დაიმსხვრა, ჩვენი ზომ არაფერი დამსხვრეულა?  
— ყველა იმედები.

## გაუფრთხილება

თებერვალი რომ გაგნდო  
გაიფურჩქნა ველად ია,  
მიწსახკომში მყისვე თესვის  
გამოაცხვეს ინსტრუქცია.

აიკითხეს, ჩაიკითხეს  
ყველა მუხლი, პარაგრაფი, —  
„დააგზავნეთ სადაც ჭერ არს  
შესრულება იყოს სწრაფი.“ —

მიწსახკომის მუშაკებიც  
აღიღინდნენ: „ინდი-მინდი,  
ინსტრუქცია, ფრთა შეისხი,  
რაიონში გადაფრინდი.“

ინსტრუქციამ კვნესა მორთო:  
— რაიონში მივალ მარა,  
სირცხვილით და უღონობით  
სული წინწინ გაიპარა.

რაიონში გაისმოდა:  
— ინსტრუქცია კი გვაქვს, მარა  
სხვა მხრივ გვინდა დახმარება,  
მარტო ამან არ იკმარა.

თებერვალი გაილია,  
მიეგებენ მარტის თვესა  
და მიწგანში ხორბლის ნაცვლად  
ინსტრუქცია დაითესა.

## ბოლო სიტყვათა მიწსახკომელებს.

რადგან მსგავსი მაგალითი  
წელს ჯერ ჩვენში არ ყოფილა,  
თქვენ ნიანგმა ეს ღვაფი  
გაფრთხილებად გამყოფინათ.

8—ზა.

ლებას მის მიმართ, მაგრამ არაფერს ამბობდა და თავისი მტკიცე  
ხასიათით განაგრძობდა მუშაობას და სამსახურისადმი ერთგულ  
დამოკიდებულებას.

ასე გრძელდებოდა გლაზუნსა და გელას შორის მტრული  
დამოკიდებულება მანამ, სანამ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზა-  
ციაზე არ დაისვა საკითხი მათ შესახებ.

გლაზუნი და მისი მომხრეები გელას ბიუროკრატობას სწამებ-  
დნენ.

— მე, ამბობდა ბაყაყმდევიშვილი, — დირექტორის მოადგილე  
გახლავარ და სამმართველოს უფროსი, მაგრამ კაბინეტის კარზე არ  
ამიკრავს განცხადება, — დაუკითხავად ნუ შემოხვალთ, — გელა ყო-  
მეთაშვილი კი რალაც სექტორის გამგეა და ხალხს თავის კაბინე-  
ტის კართან აცდევინებს, — განა ეს შეიძლება? ასე დავიახლოვებთ  
ჩვენ მასას? — ცხადია, არა! — დაასრულა მან სიტყვა და თავის მო-  
მხრეებს გადახედა.

— არ შეიძლება, არა, ეს ბიუროკრატობაა... — გაისმოდა გლა-  
ზუნის მომხრეებს შორის.

— გთხოვთ სიტყვის ნებას! მე თქვენ დაგიმტკიცებთ ვინ არის  
ბიუროკრატი, მე თუ ბაყაყმდევიშვილი, — აღშფოთებით წამოვარდა  
ყომეთაშვილი.

— ნუ ლელავთ ამხანაგო, — დაამშვიდა ის თავმჯდომარემ, —  
ჯერ სიტყვას მივსცემ ჩვენს პარტორგს და შემდეგ თქვენ. — გელა

დაჯდა. პარტორგის სიტყვა იყო მოკლე და დამაჯერებელი. მან  
ბოლშევიკური პირდაპირობით დაახასიათა ბაყაყმდევიშვილი, რო-  
გორც უარყოფითი ტიპი, — რომელიც თვალს მტვერით უვსებდა  
ყველას, — შავს თეთრად აჩვენებდა, თავისთავზე ბევრს ჰყვიროდა  
და სინამდვილეში კი არაფერს აკეთებდა.

სამაგიეროდ, პარტორგის აზრით, — გელა ყოიმეთაშვილი ნამ-  
დვილი საბჭოთა მუშაკია, — უპარტიო ბოლშევიკი, რომელიც მუ-  
შაობს უანგაროთ, — მთელი თავის არსებით, რომელიც მცოდნეა  
თავისი საქმისა და ენტუზიასტრი. მან უარჰყო გელა ყოიმეთაშვი-  
ლის ბიუროკრატობა, — და მიუთითა იმათ, რომლებიც ხელდავდნენ  
მის ბიუროკრატობას იმაში, რომ მისი კაბინეტის კარზე წარწერა  
ჰქონდა, — გთხოვთ დაუკითხავად ნუ შემოხვალთ.

— მე კი მჯერა, — განაგრძო პარტორგმა, — რომ ბიუროკრატი  
ყოიმეთაშვილი კი არ არის, არამედ ბაყაყმდევიშვილია, რომლის  
კაბინეტი მუდამ ცარიელია, — ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ზედმე-  
ტი იქნებოდა მისი კაბინეტის კარზე წარწერა რომ ყოფილიყო  
„დაუკითხავად ნუ შემოხვალთ“.

პარტორგის სიტყვის შემდეგ გელა ყოიმეთაშვილის სიტყვა არ  
დასტირებია. არც გლაზუნ ბაყაყმდევიშვილს უთქვამს რამე.

რალა უნდა ეთქვათ?

უუხვარა.



(კოლონელის ფრონტზე მომავალ წითელარმიელ  
ნიანგორის ბლოკნოტიდან).

ერთი პოლკოვნიკი ოფიცერი ამბობდა:

— რაც დავიბადე, მაზოლი მაწუხებს, მოძულეებული შეყვარებულივით არ მცილდება და ფეხით სიარული არ შემოძლიან.

— ნამდვილად მართალს ამბობს „გასპოდინ“ წითელარმიელ, თავის დღეში ფეხით არ უვლია, ტრამვაიში დაიბადა შემთხვევით და იქვე გაიზარდა. ძალიან სათუთია ბატონო, შაშვის ბარტყივით რძითა და შაქრითაა გაზრდილი, — დაუმტა ცოლმა.

— რა ვიცი, მამაგანათლებულო, — შენიშნა პოლკოვნიკმა სალდათმა. — როცა წითლებს შეხედა, ისე გარბოდა, უკან არ მოუხედია, თუ ცხენოსანი არა, ფეხდაფეხ ვერავინ დაეწეოდა, ახლაც, ნაიჯით სიარული უჭირს?

— რას ეხივები სხვის საქმეში, — გაკაპხდა ეგრეთწოდებული „პანა“, — ოცი წელია ერთად ვცხოვრობთ და შენ მასწავლი ჩემს ქმარს მაზოლი აწუხებს თუ ვაზელინი?

— მეგულს შეუტამიხართ შენცა და შენი ქმარიც. ჰიპოთ რომ გაიბზარო, აწი მაინც ვერაფერს გვიზამთ, ძირშიაც მოგტეხიან ფეხებიც და კისერიც... — ჩაიცინა სალდათმა. და მის მეუღლეს თვალი ჩაუკრა. ოფიცერის მეუღლე კახური ბოლოკივით გაწითლდა. ბატონმა ოფიცერმა კი, ცალი ჩექმის გახდა ღკისრა და წინდის ამარა განაგრძო გზა ჯოხით ხელში.

როცა ტყვეები ქ. თერნოპოლში შევიყვანეთ, ოფიცერებმა ქუდები თვალზე ჩამოიფხატეს და ტროტუარის ერთი ქვაც არ დარჩენიან დაუთვლელი. საღამოთი უკვე ხუთსაათულიან შენობაში ვიყავით. ბინებში ოთხასზე მეტი ყოფილ პოლკოვნიკის ყოფილი „პატრონები“ შევაცილეთ. სალდათები იატაკზე გაეფინენ. ოფიცერთა „დიდებულება“ რაღაცას უცდიდა. ბოლოს, როცა ფეხზე საღვრი ადგილზე ვეღარ იშოვეს მოვიდნენ და მეკითხებიან:

— „გასპოდინ პან, ტოვარიშ ჩერგონარმეც, ჩვენთვის ცალკე ოთახი არ იქნება?

— თქვენთვის? — აღარ მაცალა სალდათმა, — რა თქმა უნდა არის, — და ხელი გაიშვირა ოთახისაკენ, რომლის კარებზედაც ორი ნოლი ეხატა.

— ხოლერა! — ჩაიყბათავა ერთმა. მეორემ კი, პაპიროსი მომთხოვა.

— საბჭოთა კავშირში ძალზე მაგარ პაპიროსს ამზადებენ, თქვენ კი სათუთნი ხართ და სიმწარეს ვერ აიტანთ, — ისევ დამასწრო სალდათმა და ჩემს მაგიერ უპასუხა ვაშლივით მრგვალ ოფიცერს. მე შემომხედა და მითხრა:

— იმაზე მეტ მწარეს რას მოაწევინებ, რაც ღღეს და გუშინ „მოწია“. — მაიორმა პირი იბრუნა.

— ტუტუც, — წაიყრანტალა ერთმა ოფიცერმა.

— შე გამოტვინებულო, ვინდა გაგიწმინდავს ახლა ჩექმებს? მაიორი, რომელსაც აქამდე ცხვირი მეავე კიტრივით ჩამოკონწიალებოდა, რისხვით მომვარდა და აყაყანდა:

— რა ამბავია, დააწყნარებთ თუ არა ამ არამზადებს?

— შე თვალბზამოსათხრელო, რაც ჩუმად ვიყავ არ იკმარე? — შეაფრქვია მაზორკის კვამლი ერთმა სალდათმა თვალბზამი.

— ვნახოთ, თუ ჩვენი დრო მობრუნდა, გასწავლით უფროსების პატივისცემას.

— ისე შენი მკვდარი წამოდგეს საფლავიდან, როგორც ძველი ღროება კვლავ მობრუნდება! — ჩაუკრა სკიბამ და ოთახისაკენ გაბრუნდა. ჩვენი ლაშქრობის დღეები აღსაესე იყო ამგვარი ეპიზოდებით.

პ. თურაძე (თუხელი).

(დას. უკრაინა, ქალ. თერნოპოლი)

ნახ. გ. ისაიძისა



1. — ერთი თეთრფინელი ათ მოსკალს უდრის, ჩვენ ურალამდ ვავადართოვებთ ჩვენს საზღვრებს! — ამბობდნენ თეთრფინელი ოფიცრები.



2. — ბრძოლა დაიწყო.





3. — წითელარმიის საბრძოლო წინსვლა უდრის საათში 5 კილომეტრს.



4. — თეთრფინელთა საბრძოლო უკანსვლა უდრის 50 კილომეტრს. ამრიგად ფრონტიდან გაქცეული თეთრფინელის სისწრაფე— 30 კილომეტრი, მართლაც უდრის წითელარმიელის წინსვლის სისწრაფეს გამრავლებულს ათზე.

თუ პოეზია მართლ იმას ნიშნავს, რაც ლექსიკონშია აღნიშნული, უნდა შეივსოს დაუყოვნებლივ.

მეცნიერების არც ერთი დარგი დღემდე არაფერს ამბობს უძველესი საწვავი მასალის შესახებ, რომელსაც თოვლი ეწოდება. პირდაპირ საოცარია, რატომ გადაუშალა მეცნიერებამ ფართო მოსახლეობას ისეთი საუცხოო და, რაც მთავარია, მუქი საწვავი ნივთიერება, როგორიც ყოფილა თოვლი!... კარგია, რომ ყოვლის შემძლე პოეზია ზოგჯერ ჩაერევა საქმეში რომელიმე რაიონული პოეტის სახით და აღმოაჩენს, რომ თოვლს მშვენივრად ეკიდება ცეცხლი

„...ზამთარია, თოვს და ცინავს,  
სიცოცხლე კიდით კიდე,  
მაგრამ თოვლში ცეცხლი ბრწყინავს,  
თოვლსა ცეცხლი წავუკიდეთ...“

ზუსტად ამოვწერეთ ეს ტაეპი ზუგდიდის რაიონული გაზეთის „მებრძოლის“ 15 იანვრის ნომერში მოთავსებული ლექსიდან „ზამთარი ჩვენში“ (ავტორი ი. კოდუა).

რითმები თავის ადგილზეა. ასონანსი. ორი „ც“ ერთ სიტყვაში ნაღდი ალიტერაცია... მაგრამ ჩვენ მაინც ზემოდმოყვანილი სტროფის უკანასკნელმა სტრიქონმა დაგვანტერესა:

„თოვლსა ცეცხლი წავუკიდეთ“...

ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ზუგდიდის რაიონში, მცხოვრების ოჯახი. ფართო ბუხარში თოვლის მორებს ალი მოსდებია, გარშემო ნაპერწკლებს ისვრის და სითბოს აფრქვევს. პოეტი ზის თავისი ჯალაბობით ბუხართან, სადაც ასეთი საუბარი იმართება:

— დედაკაცო, მშუუყეთე ბუხარს თოვლი, გელაპარაკები!

— დასწყევლოს ეშმაკმა, წელს ცუდი თოვლი გამოგვადგა, ნახშირს სულ არ სტოვებს.

ორგინალური ამბავია. პუშკინს თავის ლექსში— „ზამთარი“— არც ერთი სიტყვა არ აქვს ნათქვამი თოვლის წვის უნარიანობაზე. თუმცა ასეთი ადგილი კი აქვს ამ ლექსში:

«Зима. что делать нам в деревне»...

მართლაც, რა უნდა აკეთო კაცმა ზამთარში სოფლად? მეტი ჯა არაა— ლექსი უნდა დასწერო და დაასათაურო: „ზამთარი ჩვენში“.

მე, ქვემოთ ამისა ხელის მომწერს, ამჟამად ქუთაისის მცხოვრებს, დარწმუნებით შემიძლია მივსცე პირობა ზუგდიდელ პოეტს, რომ ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, რომელსაც წელს არც ერთი ღერი შეშა არ მოუმარაგებია ქალაქის საჭიროებისათვის, დიდ ფულს გაიმეტებს ამ აღმოჩენისათვის. ოღონდ საჭიროა გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციამ უახლოეს ნომერში მოათავსოს იმავე პოეტის განმარტება ლექსად (დასაშვებია პროზადაც), თუ რა წესით ახერხებს იგი თოვლს ცეცხლი წაუკიდოს — ნავთი უნდა გადავასხათ თუ სახლის სახურავებზე ჩამოკიდებული ყინულის ჩურჩხელები შევუხმელოთ... ზედმეტი არ იქნება ვიცოდეთ აგრეთვე ხომ არ მოეპოვება პოეტს რაიმე ცნობა ცეცხლგამძლე ყინულის არსებობის შესახებ?

ვიცით ზუგდიდელს არ ესია მოვებათ. შემოგვითქვენ, იტყვიან: ტერიტორიულ შეუვალობას არღვევთ ყმაწვილო კაცო, უფლება არ გაქვთ შეგვხოთ. ის გირჩევნიათ ქუთაისის პოეტებს მიპხედორო.

უეცრავად, ბოდიში, გვაპატიეთ შეუვალობის დარღვევა, ქუთაისის პოეტებსაც შევეხებით. მხოლოდ მათ შესახებ შემიძღა...  
გენო ლიაძე.





— მობრძანდით, მობრძანდით! — და დირექტორმა ისე თავა-  
ზიანად, ისე ზრდილობიანად მიუთითა სკამზე, რომ დრამატურგი  
ქსენოფონტე შეკრთა კიდეც. უკან მიიხედა, სხვას ხომ არ ეუბნე-  
ბიანო, და დაჯდა.

— რაზე გარჯილხართ?

— პიესა... რომ... მოვიტანე... თუ შესწუხდებით და მომიძებ-  
ნით. შარშან დაგიტოვეთ... მეორემეტყველ მოვდივარ... ალბათ  
გახსოვთ...

— როგორ არ მახსოვს, შესანიშნავი პიესაა. დიდი ხანია, ასე-  
თი კომედია არ წამიკითხავს.

— უკაცრავად, მე დრამა მოგიტანეთ.

— მე სამმოქმედებიანი პიესა მოგიტანეთ.

— ჰო, ჰო! დრამა. მეხუთე მოქმედებას ვკითხულობ ახლა.  
ერთი თვე კიდეც მადროვით და ჩემს აზრს მოგახსენებთ.

— ჰო, ჰო, სამმოქმედებიანი. ერთი სიტყვით, უნდა მადრო-  
ვოთ. იცით, დატვირთული ვარ ძალზე.

— არა, ამხანაგო, უნდა წავიღო, — გადაჭრით მოითხოვა ქსე-  
ნოფონტემ.

— რა გაეწყობა. თუმცა სჯობდა დაგეტოვებინათ. წავიკით-  
ხავდით.

ვერ მოასწრო ქსენოფონტემ თანხმობის განცხადება, რომ რე-  
ჟისორმა გამოაღო უჯრა და გაუწოდა სქელი დასტა კოხტად შეკ-  
რული ქაღალდებისა. ქაღალდები სწორედ ისე იყო შეკრული, რო-  
გორც ეს იცოდა ქსენოფონტემ ჯვარედინად და ორფად.

— არ წაუკითხავს, — გაიფიქრა ქსენოფონტემ, თავისი დრა-  
მა ამოიღლია, დირექტორს თავი დაუკრა და მძიმედ გავიდა კა-  
ბინეტიდან.

— მობრძანდით! მობრძანდით! რით გავგახარეთ? — ღიმილით  
შეეგება ქსენოფონტეს დირექტორი.

— ეგებ ამ თეატრში მეშველოს, — გაუელვა ქსენოფონტეს  
და მორიდებით უპასუხა. — პიესა მოგიტანეთ, ამხანაგო დირექ-  
ტორო!

— ჩინებულია! დიდებულია! იცით რა შიმშილია პიესაზე?  
უუფ!

და დირექტორმა ისე დააღრჭია კბილები, თითქმის შიამ.

ქსენოფონტეს იმედიანად დაუწყო გულმა ცემა..

— რა თემაზეა თქვენი პიესა? — გაიღმა დირექტორმა.

— ისტორიულზე.

— სამწუხაროა. ჩვენს თეატრს ისტორიული თემა არ აინტე-  
რესებს. ჩვენ გვაინტერესებს თანამედროვე თემა. ოჯახი, ინტელი-  
გენცია, სტახანოვური მოძრაობა, პატრიოტიზმი.

— მე ასეთი პიესაც მაქვს ოჯახზე, — უპასუხა ქსენოფონტემ  
და ხელი უნებლიეთ პორტფელისაკენ წაიღო.

— არა! არა! — წამოიძახა დირექტორმა, — არ ამოიღოთ. საქ-  
მე ისაა, რომ ასეთი პიესა წინასწარ უნდა შეთანხმებულ იქნას  
ჩვენთან სანამ დაიწყებოდეს. მაგალითად, როგორი უნდა იყოს  
ოჯახი? როგორი უნდა იყოს ცოლი. თქვენ როგორი ცოლი გყავთ  
გამოყვანილი?

— როგორი ცოლი? ჩვეულებრივი.

— ხა... ხა... ჩვენ ჩვეულებრივი ცოლი არ გვაინტერესებს.  
ჩვენ გვაინტერესებს ტიპური ცოლი. ისეთი ცოლი, რომელიც  
ღიალექტიკით კიდეც არის ცოლი და კიდეც არ არის.

ქსენოფონტემ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც დაუქნია თავი.

— აი, ხედავთ, — გაეხარა დირექტორს. — თქვენ კი ასეთი  
ცოლი არა გყავთ. ხომ არ გყავთ ასეთი ცოლი?

— მე საერთოდ არ მყავს ცოლი...

— აი, ხედავთ, — გააწყვეტინა დირექტორმა, — ცოლებზე კი  
სწერთ. ჯერ უნდა განიცადოთ რა არის ცოლი და მერე სწეროთ...

— ჩემს პიესაში ცოლის პრობლემა არაა დასმული. მე ამჟა-  
მად ისტორიული პიესა მოგიტანეთ.

— სამწუხაროდ ასეთი პიესა არ გვჭირდება.

მძიმედ გავიდა ქსენოფონტე კაბინეტიდან. უსაშველო ყოფი-  
ლა ჩემი პიესის ბედით.

არ შეურიგდა ბედს ქსენოფონტე. გამარავლა მანქანაზე თავი.

სი პიესა, გაუგზავნა ათიოდე თეატრს, მოუცადა რამოდენიმე თვე  
და შემდეგ ჩამოუარა თეატრებს. ზოგმა რა უთხრა და ზოგმა რა  
ერთმა რეჟისორმა ურჩია მთავარი გმირი ვაჟი იქნას ქალი უნდა  
იყოსო. გვაჩვენეთ გმირი ქალი, ახალი ქალი, მებრძოლი ქალიო.

მეორე რეჟისორმა ურჩია: მთავარ გმირს სულ ნუ გამოიყვანთ  
სცენაზე, არამედ უკანასკნელ მოქმედებამდე კულისებში იყო-  
ლიეო. დე, მაყურებელმა თვითონ წარმოადგინოს ეს გმირიო. აჰ,  
რა ინტერესი იქნებაო!.. უკანასკნელ მოქმედებაში კი გამოჩნდეს  
გმირი, მაგრამ გამოჩნდეს უსიტყვოდ... მესამე რეჟისორმა ურჩია:  
დრამაში კომედიის ელემენტები შეიტანეთ, თან ჩავაფიქროთ, თან  
გავართოთ მაყურებელიო. შექსპირი ასე სწერდა ტრადედიასო.

— დადგმულა სადმე თქვენი პიესები? არა? აბა ჩვენ ვერ  
დავდგამთ. ჯერ ცენტრში უნდა დაიდგას თქვენი პიესა და მერე  
ვნახავთ. არა, თქვენ, სხვანიარად არ იფიქროთ...

ქსენოფონტე ბაკურიანს გაემგზავრა. თან თავისი პიესის  
ასლი წაიღო.

ერთ დღეს დაღონებული ქსენოფონტე ტყისაკენ მიდიოდა.  
ერთერთ სახლიდან შეძახილი შემოესმა:

— ოჰ, ქსენოფონტეს გაუმარჯოს! არ გრცხვენია რომ ჩამი-  
არე?

ქსენოფონტემ აიხედა და სახელოვანი დრამატურგი მალხაზი  
დაინახა. მაშინვე გაექანა, სიხარულით მივარდა, მოიკითხა. თურ-  
მე მალხაზი ავად გამხდარა, კვირაზე მეტია რაც წევს. ახლა ცოტა  
მომჯობინებულია.

— როგორაა თქვენი პიესის საქმე? — იკითხა მალხაზმა.

მალხაზი იცნობდა პიესას.

— უსაშველო ყოფილა პიესის მიღების საქმე. არ ვიცოდი,  
თორემ არ მოვკიდებდი ხელს. — უიმედოთ ჩაიქნია ხელი ქსენო-  
ფონტემ.

— გული არ გაგიტყდეთ, — დააიმედა სახელმოხვეჭილმა. —  
იბრძოლეთ, გატყდება ყინული...

ბოლოს, როცა ქსენოფონტე დაემშვიდობა, უთხრა:

— გეთაყვა, ერთი თხოვნა მაქვს: მე ვერ გამოვდივარ და  
სხვას ვერ ვანდობ. აი ეს პიესა შევპირდი ჩემს მეგობარ თეატრს  
და არ მინდა დავალალო, უნდა გავუგზავნო. გადამიწერეთ მე-  
გობრულად, თუ გადააბეჭდვენეთ, კიდეც უკეთესი იქნება. სხვა  
თეატრსაც გავუგზავნი.

ქსენოფონტემ წაიღო პიესა და გულდასმით წაიკითხა. პიესა  
კარგი იყო, მაგრამ ციდან ვარსკვლავებს არ სწყვეტდა. შეადარა  
თავის პიესას და იფიქრა:

— ჩემს პიესას რომ ამისი ავტორის სახელი ჰქონდეს და ამას  
კი ჩემი რა იქნებოდა?

ცელქმა აზრმა გაიტაცა. შემდეგ ეს ცელქი აზრი უსინდისო-  
დაც ეჩვენა. მაგრამ გადასწყვიტა: უნდა დავრწმუნდე ვინ სცდებო.

ადგა, თავისი პიესის ასლებს მალხაზი დაწერა და იმდენ  
თეატრს გაუგზავნა, რამდენიც ასლი ჰქონდა. მისამართიც ეშმაკუ-  
რად დაწერა:

— ბაკურიანი. ესა და ეს ქუჩა. სახლის პატრონს ქსენოფონ-  
ტე ხურდიას. მალხაზისათვის.

არ გასულა ერთი კვირა და იწყო დენა დეპეშებმა და ფუ-  
ლებმა.

— გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას. პიესა მივიღეთ, —  
სწერდა ერთი თეატრი.

— დარწმუნებული ვიყავით თქვენს მორიგ გამარჯვებაში.  
პიესა მივიღეთ, — სწერდა მეორე თეატრი.

მეოთხე თეატრი კი სწერდა: ჩვენი კოლექტივი გთხოვთ ახ-  
ლავე დაიწყოთ მუშაობა მორიგ პიესაზეო...

იმდენი დეპეშა მოვიდა, რამდენი ასლიც გააგზავნა.

— არ ყოფილა უსაშველო საქმე! — დაასკვნა ქსენოფონტემ,  
მაგრამ ახლა ახალ საგონებელში ჩავარდა. რას უზამენ პიესას  
როცა სიმართლე გამოირკვევა?

კვლავ უსაშველოდ ხომ არაა ქსენოფონტეს საქმე?

ვინ იცის!



ნახ. მინ. ლებეშვილი.




— ნება მიბოძეთ ბატონო გენერალო, რომ ჩემი ჯარით ჩინეთის ფრონტზე შეტევაზე გადავიდეთ.  
— ერთის პირობით: ტბას არ გაეკარო.



# შეა აგზავნი წითელი აკივისა და საგზავროზღვავო ზღოვის გიკრადი ნაკსუდიღან

ნახ. ა. კანდელაკისა



ფლოტის ვეტერანია კრეისერი „ავრორა“, ის ურუშართი პირველად სასახლეს „ეკამორა“.

შეუცვალა მინისტრებს შიშით იმან სიფათი, მის სტუმრობით მტარვალებს შეეუარა ზიფათი.



მეფის ტახტის ზურჩებში საშუალოდ ღაქცა, მინისტრებმა მოკურცხლეს პრემიერი გაქცა.

შრომელების არმია სდევდა მღევანოსილი, მინისტრები გარბოდნენ ნიშადურა-შოსნული.



„უდინის — გენერალს „პეკა“ ჰქონდა მზიარული, ლენინგრადის კურებზე მოუნდა სიარული.

და „გმირული“ შეტევა დაამოკერა თუ რათი, ამას ცხადდ გადმოგვცემთ აქ დართული სურათი.



დენიკინი, — ანტანტის მოგვანელი ქოლაკი, — კრემლში შესვლას ელოდა მაზრუკით და გოპაკით

მავრამ ისე ძლიერი უთავაზეს მას უკან, რომ ნაღრძობა კონიები არ მოერჩა მასუკან.



გენერალმა კოლჩაკმა საქდომი აიქავა, ეთი ბესეკა ატროკდა, ციხიბირი ღიიკავა.

მასამ ისე ძლიერად მოხვდა უკან პანდური, რომ გაფრინდა უკვალოდ ცხებულ მეფის-მასტური.



სამორია, სადა ხარ და რომელსა მხარესა? საით გასეკერ მოწყვეთი, რას იგონებ მწარესა?

ციხიბირიდან წითლების გარმა რომ გიგანაკი, არ იქნება მის შემდეგ უნი ძალის აქცა.



შეიკანმა გრანგელი თოფით და წინწილითი, როცა მის ბედს ვიგონებთ იატეს ვირთობთ სიცილითი.

აღდგინა უნდოდა ბარონები, პანები, და შიდილი შავი ზღვის ციფა აბმანები.



მოგვრებათ კიფუ პოლონეთის „არწივებს“, განზრახული ჩამწარადი, წიწილითი აწოდეს.

ღვთაშენი მიიღრიაწ წითელდამეღლები, ვადარ ნახის აწ მტერმა უკრინის ვიღლები.





## უპრატენი

სოფ. ნაგავახო (გეგეჭკორის რაიონი) კოლმეურნეობის ჩაის პლან-ტაციას პირუტყვი ანადგურებს.



— მე ძალიან პატარა მოთხოვნილების პატრონი გახლავართ, ამოხადო: ჩაის უშავროდ კარგად შევიტყუე.

## ცილისწამების უიშით

სოფ. კორმაღლის (სამტრედიის რაიონი) კოლმეურნეობამ „უგზო უკვლოდ“ დაკარგა მუშა-ხარკი. თანაკარგის მოძებნისთვის თავს არავინ იწუხებს.



მგელი: — ახლო არ ჩაუარო, თორემ მაგასაც ვინმე აცქნაფავ და ჩვენ დაგვა-ბრალდებენ.

## კალენდრით მკურნალობა

სოფ. მანავაში (საგარეჯოს რ.) შეთავსებით მუშაობს კაკაბეთის ექიმი. მკურნალი მანავაში მხოლოდ სამშაბათობით და პარასკეობით ცხადდება.



— დღეს ვერ ჩამოვალ, ჩემო კარგო, შაბათია, წადი და თუ სამშაბათამდე არ მოკვდა, პარასკევამდე მე მოვარჩენ.

## აზარმული ხუმრობა

სოფ. აზარმის (ხაშურის რაიონი) სკოლას არა აქვს შეშა.



— მეტი აღარ შემოძლიან, ყინვისაგან გაფრთხილი!  
— ჩუმად, სკოლის დარაჯმა არ ცაგი-განოს, თორემ დუშელში შეგაგდებ.

## მცირე გასაზიარი

დუშეთის კინო-კლუბში „უკანასკნელი მასკარადი“ შეცდომით თათრულ ენაზე უჩვენეს.



— წარწოედი რომ ქართული პქონდეს, ხმის არ დავებებ: რა ენაზედაც არ უნ-და ხრიწინებდეს, მაინც ვურაფერს გაი-გიბენ.





- აბა მითხარი — ჩისთვის იბრძვი?
- თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.
- სწორია, უჩაღ!
- არა, მე მხედველობაში მაქვს თავისუფლება და დემოკრატია — ინდოეთში.





## მოდიატა შორის

- მეზიზღება ასეთი მომხმარებლები.
- რადა?
- ამ დილით ორი კაპეიკი დააკლდა. ერთი საათის შემდეგ ქოშინით მოირბინა და წარმოვიდგენია? მოიტანა!
- ეგ რაა, გუშინ ორი აბაზი დავაკელი და ორი საათი იცადა საღაროს თან. წარმოვიდგენია? ხურდა წაიღო!

## აქა აგბავი ბუჭუკი მათხოჯალისა

(სოფ. მათხოჯი, წულუკიძის რაიონი).

მათხოჯს უხმობენ სახელად, სოფელი არის ტყიანი. აქ ცხოვრობს ერთი ვაჟკაცი — ბუჭუკი მუსელიანი. არტელის თავმჯდომარეა, კაცია თავმომწონეო, „ხალტურისათვის“ მიჰმადლა ღმერთმა ჭკუა და ღონეო. იხილა გმირმა, რომ არტელს ღვინო დაუდგა მაგარი. ფიცხლავ შეყარა ბიჭები: სილიბისტრო და მაკარი, უთხრა: დახარჯეთ ახლა აქ დრო რამდენიმე წუთით, გავქაფოთ სარდაფიდანა ღვინო ოციოდ ფუთით, ზოგი ვსვათ, ვიმხარულოთ, მით გავიხაროთ გულები, ზოგი გავყიდოთ ბაზარზე, „ჩიბეს გავიკრათ ფულები.

\*\*\*

ეს რომ გაიგეს ბიჭებმა, ესიამოვნათ ძალიან. უთხრეს თუ: ასეთ საქმისთვის ჩვენ აქ ყოველთვის გვცალიან. ვინც ვერ გაჩარბოს ეგ საქმე, ღმერთმა კი შეარცხვინოსო, ამ ღამესავე მოგართმევთ მაგ შენ სანუკველ ღვინოსო. რაც გეგმა ჰქონდა ბუჭუკის იგი შესრულდა სრულებით: გაყიდა ბიჭმა ნუნუა, ჩიბე იტვირთა ფულებით, მეორე ღამეს მიიღო ორ ჩვენთვის ნაცნობ გმირამდის, წამოვიდნენ და ქვევრები წყალით აავსეს პირამდის.

## რამე-რამე

„თბილვაჭრობის“ მალაზიებს მყიდველი ჰყავს მეტად ბევრი: ხორცის კატლეტს, ხაჭაპურს, გამოდგება პურის კვერი...

ჩვენს ქალაქში, ზოგ კედლებზე ძველი აბრა ჰკიდია: გარედ „ღვინო“ აწერიან, შიგ კი ნახშირს ჰკიდია...

შემკეთებელ სახელოსნოს ოსტატი ჰყავს ზოგან „ძველი“: დასაყრებლად მივეცი, დამიგლიჯეს ფეხსაცმელი...

სიკოიამ „გრუზავიკი“ სადგურიდან დასძრა ხენეშით, ავლაბრამდე რომ მივიდა, მარტო რული შერჩა ხელში...

პ. ბლიაძე

## გამიჯნუარაგული პლაგოგი

(ს. მუხურა, ტყიბულის რ.)

მუხურაში „უჩიტლობს“ გუგუტიძე კოლია. ჩხუბში, აყალმაყალში არავინ ყავს ტოლია.

ღვინოს სთხოვდა პედაგოგს მისი კუჭი, მსუნაგი, სასადილო მონახა, როგორც მაჩვმა ბუნაგი.

გამოვიდა იქიდან გადამთვრალი, მყვირალი, პედაგოგი კი არა თითქო იყო ფირალი.

ხალხს საჩხუბრად იწვევდა, გასჩხაოდა ჭოტივით. ტრფობის ცეცხლით იწვოდა გმირი დონკიხოტივით.

იქვე ორ კაცს ნუნუით სავსე ჰქონდათ კუჭები, მოამზადეს იმათაც საბრძოლველად მუჭები.

კოლას ურტყეს, აგლიჯეს ხან წვერი და ხან-ყური. თავში მისცხეს მუშტები, უკანალზე პანდური.

აქ კი ვაჟკაცს ფეხებმა გაქცევა არ უზარა, და მოუსვა შინისკენ — თითქოს კბენდა ბუზარა...

მანი.

ვ. მუხურელი.



1918 წლის 23 დეკემბერს, —მენშევიკურ საქართველოს ეგარდწოდებული „დამოუკიდებლობის“ დროს, ინგლისის მისიის თამაჯდო-  
მარემ პოლკოვნიკმა ჯორდანმა, მოკავშირეთა ჯარების სარდლის გენერალ ტომსონის ინსტრუქციის თანახმად, მოსთხოვა მენშევიკურ  
მთავრობას „სადგომები ქვეითი ჯარის ერთი ბრიგადისათვის, არტილერიის ერთი ბრიგადისა და 1800 ცხენისათვის, აგრეთვე შესა-  
ფერი შენობა შტაბისათვის...“

(ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფილისი, 1919 წ.)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ვაზენი ვაზენიანი: —დიდად პატივცემულო ბატონო ჯორდან, მივიღე თქვენი მეგობრული მოწერილობა და ძალიან მოხარული  
შევიქენი, რომ მემსახურნა თქვენთვის.

პოლკოვნიკი ჯორდანი: —მე თქვენი პირადი განცდები სრულიად არ მაინტერესებს. მიპასუხეთ მოკლედ განკარგულების  
შესრულების შესახებ.



## საავიო პოზიციები მორწმუნეს ოჯახში

სლავგოროდში (ციმბირში) მორწმუნეთა კრებაზე წამოიჭრა საკითხი შესახებ იმისა, შეიძლება თუ არა მორწმუნეს იყოლიოს ქოფაკი ძაღლი თავის ქონების დასაცავად და ზომ არსაქციელი უფლის ავტორიტეტს, რომელიც იცავს მორწმუნეთა ქონებას?

მორწმუნეთა კრებამ დაადგინა: ვინაიდან ღმერთი გადატვირთულია უამრავ საქმეებით—შეიძლება მორწმუნემ თავის ქონების დასაცავად იყოლიოს ქოფაკი ძაღლი, როგორც ღვთის თანაშემწე.

ნახ. გ. ისაევისა



ღმერთი უფალი საბაო, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა.

თანაშემწე ღვთისა ღირსეული მურია ქოფაკის-ძე ქოფაკიშვილი.

## შემთხვევა ჭიათურის სასტუმროში

(ჭიათურა)

— აი, ეს ტახტი დაიკავეთ. — ზრდილო-ბიანად მომართა ზურგზე საბანწამოფარებული სასტუმროს გამგემ და ათსაწოლიან ოთახის კუთხეში მიდგმულ ტახტზე მიმითითა. პირველად გაკვირვებული ვიყავი: გამგე ავად ხომ არ არის მეტეი, მაგრამ ტახტზე რომ სამ წუთში ყინვამ კრიმანტული მათქმევინა, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდა. გადავწყვიტე ისევ ქუჩაში გამოსვლა, ორი საათი ვიხეტიალე, გაყინული სხეული ოდნავ გავათბე, ბოლოს დაღლილობამ და წინა ღლის უძილობამ ისევ თავისი გაიტანა და კვლავ სასტუმროსაკენ გავეშურე. მიუხედავად საღამოს ათი საათისა, სასტუმრო ისე ჩაებნელებინათ და ისე სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რომ ვიფიქრე ალბათ, საპერო განგაშს ელიან მეტეი და ჭიქურ გავსწიე ჩემი ოთახისაკენ. გზაში ზოგან სკამს დავეჯახე, ზოგან ნაგვის ყუთს, ზოგან პირსაბანს, მაგრამ ჩემი წინსვლა ვერაფრითარმა სიმაგრეებმა ვერ შეაჩერა; ბოლოს, როგორც იქნა, აზრით და ხელების ფათურით, მივაგენი ჩემს ტახტს, ტანსაცმელი გავიძვრე და ლოგანში სასწრაფოდ შევეგორდი.

— არიქა მიშვეელებეთ!.. ყაჩაღი დამე-

ცაა!..—დაიყვირა ვიღაცამ და ყელში მეცა...

— არ გაუშვით! გამექცაა!..—კვლავ ცივი ხმით ყვიროდა მოქალაქე... მე ხან ერთი ადგილს ვეცი, და ხან მეორეს, ხან მესამეს, გამწარებული ვეძებდი ჩემს საწოლს, რომ ამ სირცხვილს გადავჩინებოყავი, მაგრამ ამაოდ. ყვირილზე ყველა წამოცვიდა: ერთი კარებს ეცა და საჩქაროდ გადაეცა, ორი ფანჯარასთან აიტუზა, ვიღაცამ ასანთი აანთო და... ათი კაცი ერთბაშად მეტყა.

— ამხანაგებო, დიდი ბოდიში, მე არავითარი ყაჩაღი არა ვარ, ოთახში მხოლოდ ჩემს საწოლს ვეძებდი და შემთხვევით...

— სტყუით, მაგ ნომრებით ფონს ვერ გახვალთ, — შემომიტია ერთმა უზარმაზარმა მოქალაქემ და ხელები ისე მომიჭირა, რომ ძვლებმა ჭახჭახი დაიწყეს.

— ვის გინდათ აუხვიოთ თვალები? აბა მაჩვენეთ რომელია თქვენი საწოლი? — დაცინვის კილოთი წამოიძახა მეორე მოქალაქე.

— აი ის არის, მარჯვნივ კუთხეში რომ სდგას...

— მაშ მე რომელი მეკავა?.. — წამოიძახა ჩემს მიერ უნებლიეთ შეშინებულმა მოქალაქემ, რომელიც ჯერ კიდევ გონს

კარგად ვერ მოსულიყო და ისევ „მიშველეს“ გაიძახოდა.

გამგესაც გამოვლიძებოდა, ორი საბანი მთელ ტანზე შემოეხვია, ხელში ორპირიანი სანადირო ცენტრალი დაეკავებინა და შემოსვლისთანავე სჭექა: იარარ!

გამგემ საცვლების ამარა წინ გამიგდო. სასტუმროს ეზოში რომ გაველით, გამგეს უეცრად რაღაც მოაგონდა, ისევ უკან დამაბრუნა, თავის კაბინეტში შემიყვანა, გვარი შემეკითხა და დიდხანს ყველა პასპორტებს გულმოდგინეთ ათვალიერებდა. ბოლოს როგორც იქნა ჩემს პასპორტსაც მიაგნო, რომელიც მაგიდის იქით გადავარდნოდა, კვლავ დიდხანს ადარა ჩემი გალურჯებული სახე ჩემს სურათთან და ბოლოს ბოდიშით მითხრა, რომ პატარა გაუგებრობა მომსვლია და თქვენს მიერ დაკავებული ტახტი სხვაზედაც გამოყიდა კიდეცო. თანაც დაუმატა, რომ თუ სურვილი გაქვს დილამდე რაიმეფრად მოიზმინე და შემდეგ თქვენთვის პირველ რიგში გავაჩენ ადგილსო. პასპორტს ხელი დავსტაცე და ჭიათურის სასტუმროს სტუმართმოყვარეობით ყელამდე სავსემ იმავე ღამეს გამოვსწიე ზესტაფონისაკენ.

უ. რაზირელი.



შუამდგომლობა

სოფ. ხრესილის (ტყიბულის რაიონი) კლუბსამკითხველთა განცემ თამარა ცირეკიძემ შუამდგომლობა აღძრა საბჭოს წინაშე კლუბსამკითხველთა სადგურ ხრესილში გადატანის შესახებ. შუამდგომლობა იმით არის დასაბუთებული, რომ თამარა იგვიანებს სახალხო მატარებლის შეხვედრისას სადგურზე, სადაც თვალს წყალს „აღვინებს“.

მოწაფე

მეზარეულები

აცანის (ლანჩხუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგმა სა-ნაქემ და აგრონომებმა ნიკოლაიშვილმა და გურიელიძემ გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ფრონტი ამავე ფაბრიკის სასადილო-ში გადმოიტანეს და სრულ 2 საათში სავსებით დააცალიერეს ერთი ღრაფინკა არაყი, 2 ბოთლი კონიაკი და თორმეტი ბოთლი სვირული, რის შემდეგ „დაჰკა-დაჰკას“ საფუძველზე სანაძეს წინა კბილები ჩაემტვრა, გურიელიძეს კისერი მოეყენა და ნიკოლაი-შვილის თავი ოთხად გაიპო. დაჭრილ-დასახიჩრებულნი ჯერჯერო-ბით თავს კარგად გრძნობენ.

მანი.

ნიაღვრის მსხვერპლი

გუშინ დღის სრულ პარველ საათზე და ოც წუთზე დიდი წვი-მების გამო ჭერიდან და ფანჯრებიდან მოხეტიალმა ნიაღვარმა კლუბის სცენიდან უეცრად მოიტაცა ზვარეთის (ონის რაიონი) კლუბის გამგე ილარიონი. მიღებულია ზომები... კლუბის სახურა-ვის შესაკეთებლად.

ცარო მარსელიძე.



დანდალოს (აჭარა, ქედის რაიონი) საშუალო სკოლის მასწავ-ლებელმა ი. ფირცხალაიშვილმა აღმოაჩინა, რომ შეუძლებელია ჯანსაღი სულის მოთავსება ჯანსაღ სხეულში თუ სულის პატრონს შერჩა ნორმალური ყური. ამ პესტალოცურ აღმოჩენასთან დაკავ-შირებით იგი შეუდგა მოწაფეთა ყურების დაგრძელებას.

ვაჭვეუნებთ მის მიერ დაგრძელებულ ყურის ნიმუშს. დაინ-ტერესებულმა პედაგოგებმა კონსულტაციისათვის უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: დანდალო, ქედის რაიონი საშუალო სკო-ლის მასწავლებელს ი. ფირცხალაიშვილს.

ჩ ვ ე ნ ი უ ო ს ვ ა

„მელიტონიკს“ (სოფ. აჭარა, ცაგერის რაიონი).

თქვენს წერილს ნიანგმა

არ მისცა ვიზა,

რადგან ვერ გავიგეთ

ვინ არის ლიზა.

თუ დაწვრილებით გაგვაცნობთ

კოოპერატორ ლიზას,

მაშინ... ენახოთ... აღბათ

მიაღწევთ მიზანს.

მზგინის (ძირულა) თქვენი კორესპონდენცია ყველაფერზე ლაპარაკობს, მაგრამ დამაჯერებლად არც ერთი ნაკლი არ არის აღ-წერილი. გარდა ამისა წერელის ქვეშ სხვისი, თქვენივე მეზობელი კაცის ფსევდონიმი მოგიწერიათ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ევგენი,

არ შეგფერის ევგენი.

ახალს—(ზესტაფონი) იწერებოთ:

რესტორანში შევიარე,

პურს რომ ხელი გოუსვი,

ვასოს ძაღლმა შემიჭამა  
ხორციო სამსე სოუზი.

კარგი იქნებოდა, რომ იმ სოუზთან ერთად თქვენც შეეჭამეთ. მაშინ ვერც ლექსს დაწერდით და აღარც ქართული ენის სწავლა დაგჭირდებოდათ.

დიდოშიდეს (აქვე) გვწერთ:

აქ, ავლაბარში კაცია

გამგეა პურის საცობის,

მართალ სიტყვაზე ვარდება

ვით ლიმონათის საცობი.

თუ თბილისში დამზადებული ლიმონათის საცობს ბაძავს, პი-რაქეთ, დინჯი კაცი ყოფილა.

ამბაპოს (შორაპანი)—მინისტრულად სწერთ. სახელი ამოვი-კითხეთ, მაგრამ თქვენი გვარი ვერაფრით ვერ გავარჩიეთ.


გივის (აქვე)—დაუინებოთ მოითხოვთ, მიღებისთანავე გაცნო-ბოთ ივარგა თუ არა თქვენმა მასალამ. გაკმაყოფილებთ: თქვენმა მასალამ ივარგა.. მომავალი ნომრის გოდრისათვის.



# ს ი ა ნ ბ ი

40-138

საქართველო  
ბრძოლისთვის



## გ ა ი მ ნ ო

თეთრფინდი ჯარისკაცი: — ესეც შენი „ფანერის“ ტანკებისგანა თავს ვუშველოთ, თორემ შე კი არა, რკინა-ბეტონის კედლები აღარ გადაგვირჩა ასეთ „ფანერის“ ტანკებისაგან.